



მე-10 განყოფილება
სააღრიცხვო პოლიტიკა,
შეფასებები და შეცდომები

განსახილველი საკითხები

- ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში
- წინა პერიოდის შეცდომების გასწორება
- შედარება სრულ ფასს-თან

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

7

სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა შესაძლებელია:

- **სავალდებულო ცვლილება:** მოითხოვება მსს ფასს-ით
- **ნებაყოფლობითი ცვლილება:** უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ წარმოადგენს:

- (ა) ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება სამეურნეო ოპერაციების, რომელთა ეკონომიკური შინაარსი განსხვავდება ადრე მომხდარისგან;
- (ბ) ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება სამეურნეო ოპერაციების, რომლებიც აქამდე არ მომხდარა, ან არსებითი არ იყო; ან
- (გ) რეალური ღირებულების მოდელიდან თვითღირებულების მოდელზე გადასვლა იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელი აღარ არის აქტივის რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა (ან პირიქით).

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

თუ სტანდარტით დაშვებულია სააღრიცხვო მიდგომის (მათ შორის, შეფასების საფუძვლის) არჩევის შესაძლებლობა და საწარმო ცვლის წინა პერიოდებში არჩეულ მიდგომას, ეს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებაა.

ძირითადი საშუალებების რომელიმე კლასისთვის თვითღირებულების მოდელიდან გადაფასების მოდელზე გადასვლა არის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება, მაგრამ უნდა აისახოს როგორც გადაფასება (პერსპექტიულად და არა რეტროსპექტიულად) (10.10ა).

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

10

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები აისახება:

- **სავალდებულო ცვლილება:** ამ ცვლილებების გარდამავალი დებულებების შესაბამისად, თუ ასეთი არსებობს;
- **ნებაყოფლობითი ცვლილება:** რეტროსპექტულად (თითქოს ყოველთვის მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენებოდა).

განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს:

- (ა) სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ხასიათი;
- (ბ) კორექტირების თანხა ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლისთვის, რომელზეც ცვლილება ახდენს გავლენას;
- (გ) კორექტირების თანხა წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდებამდე არსებული პერიოდებისათვის, რამდენადაც ეს შესაძლებელია; და
- (დ) თუ შეუძლებელია კორექტირების თანხების განსაზღვრა, მაშინ ამის მიზეზი.

ამ ინფორმაციის გამეორება საჭირო არ არის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობითი ცვლილების დროს დამატებით უნდა გაამჟღავნოს მიზეზები, რომელთა გამოც ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას უზრუნველყოფს.

მაგალითი - ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

12

მაგ 1(22). 20X7 წელს საწარმომ ნებაყოფლობით შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა. ცვლილების შედეგად 01/01/20X7 თარიღისთვის გაუნაწილებელი მოგება შემცირდა ჯამში 100,000 ფე-ით, (ე.ი ბოლო 4 წლის განმავლობაში 25,000 ფე-ით ნაკლები მოგება თითოეულ წელს). საწარმო წარადგენს 2 წლის შესადარის ინფორმაციას.

როგორ უნდა წარადგინოს საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობითი ცვლილება 20X7 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში?

მაგალითი – ცვლილებები საალრიცხვო პოლიტიკაში

მაგ 1(22). (გაგრძელება). საალრიცხვო პოლიტიკის ცვლილება უნდა აისახოს შემდეგნაირად:

- 20X5 წლის 1 იანვრისთვის შემცირდეს გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 50,000 ფე-ით;
- 20X5 წლის მოგება შემცირდეს 25,000 ფე-ით;
- 20X6 წლის მოგება შემცირდეს 25,000 ფე-ით.

ჯამური ეფექტი იქნება 20X7 წლის 1 იანვრისთვის (მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი) გაუნაწილებელი მოგების ნაშთის 100,000 ფე-ით შემცირება.

მაგალითი - ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

მაგ 2(23). ფაქტები მე-22 მაგალითის იდენტურია, თუმცა შეუძლებელია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით გამოწვეული ეფექტების განსაზღვრა ინდივიდუალური პერიოდისთვის.

როგორ უნდა წარადგინოს საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობითი ცვლილება 20X7 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში?

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება უნდა აისახოს 20X7 წლის 1 იანვრისთვის (მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი) გაუნაწილებელი მოგების ნაშთის 100,000 ფე-ით შემცირებით. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს 10.14(დ) პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია.

წინა პერიოდის შეცდომები აღნიშნავს საწარმოს წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებულ უზუსტობას ან ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ვერ გამოიყენეს, ან არასწორად გამოიყენეს საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

- ხელმისაწვდომი იყო იმ მომენტისათვის, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა; და
- მართლბომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

წინა პერიოდის არსებითი შეცდომები რეტროსპექტულად უნდა გასწორდეს (ე.ი გადაიანგარიშდეს შესაძარისი მარვენებლები).

უნდა გამჟღავნდეს:

- შეცდომის შინაარსი; და
- ფინანსური ეფექტები (თითოეული მუხლის ქრილში) ან იმ შემთხვევაში თუ არ არის შესაძლებელი ფინანსური ეფექტების განსაზღვრა, მიზეზის ახსნა.

ამ ინფორმაციის გამეორება საჭირო არ არის შემდგომი საანგარიშგებო პერიოდების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

მაგალითი – წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

მაგ 3(35). 20X4 წელს მას შემდეგ რაც საწარმოს 20X3 წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაცემად, საწარმომ აღმოაჩინა რომ 20X3 წლის ცვეთის ხარჯი გამოთვლის შეცდომის გამო 10 ფე-ით იყო შემცირებული.

როგორ უნდა გაასწოროს საწარმომ შეცდომა?

20X3 წლის ცვეთის ხარჯის შემცირება 10 ფე-ით არის წინა პერიოდის შეცდომა (მათემატიკური შეცდომა), თუმცა თუ შეცდომა არსებითი არ არის, აუცილებელი არ არის მისი რეტროსპექტულად გასწორება. შესაძლებელია იგი გასწორდეს 20X4 წელს 10 ფე-ით მეტი ცვეთის დარიცხვით.

მაგალითი – წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

18

მაგ 4(36). 20X4 წელს მას შემდეგ რაც საწარმოს 20X3 წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაცემად, საწარმომ აღმოაჩინა რომ 20X3 წლის ცვეთის ხარჯი გამოთვლის შეცდომის გამო 36,000 ფე-ით იყო შემცირებული.

როგორ უნდა გაასწოროს საწარმომ შეცდომა?

20X3 წლის ცვეთის ხარჯის შემცირება 36,000 ფე-ით არის წინა პერიოდის შეცდომა (მათემატიკური შეცდომა) და უნდა გასწორდეს რეტროსპექტულად:

- 20X3 წლის მოგება შემცირდეს 36,000 ფე-ით და
- 20X4 წლის 1 იანვრის (მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი) მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შემცირდეს 36,000 ფე-ით.

შეღარება სრულ ფასს-თან

19

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.